ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№22 / 2017

წარმატებული ბენეფიციარები

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის ახორციელებს პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მცირე ბიზნესის დაფინანსების საგრანტო პროგრამა. პროექტის ფარგლებში ამ ეტაპისთვის 14 ბიზნესი დაფინანსდა.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე
მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

„ნუ დაკარგავთ ამ შანს!“

46 წლის ლევან დიასამიძე გარკვეული პერიოდი რუსეთში მუშაობდა, შემდეგ 5 თვე უკრაინაში იყო – ქვის ქარხანაში სამშენებლო ბლოკებს ამზადებდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კაპრეშუმში საკუთარი ქვის საწარმო გახსნა. თუმცა მალე ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი.

„ჩემი ბიზნესის განვითარებისთვის მჭირდებოდა ტერიტორიის გადახურვა, რადგან წვიმაში მუშებს ხელი ეშლებოდათ სამუშაოს შესრულებაში. უამინდობის გამო გაჩერებული მუშები კი სამუშაოს სხვაგან ეძებდნენ. შემდეგ მუშების მოძიება თავიდან მიწევდა. ასეთ პირობებში ჩემი ბიზნესი ვერ განვავითარე. ერთი პერიოდი ხელიც კი ჩავიქნიე.

მეგობრისგან გავიგე, რომ „ინტელექტს“ აქვს პროექტი – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, რომლის ფარგლებშიც გასცემს ბიზნესგრანტებს. სიმართლე გითხრათ, ჯერ არ დავიჯერე, არარეალურად მომეჩვენა, მაგრამ მაინც დავინტერესდი, მივედი, გავეცანი და ბიზნესგანაცხადიც დავტოვე. კონკურსი წარმატებით გავიარე და გავიმარჯვე კიდეც.

მიღებული გრანტით შევიძინე გადახურვისთვის საჭირო მასალები, ქვის საამქრო გადავხურე და ახლა ნებისმიერ ამინდში შესაძლებელია სამუშაოების შესრულება.

ძალიან კმაყოფილი ვარ! ჩემმა ბიზნესმა განვითარება დაიწყო.

შეკვეთები მრავლად მაქვს, ზოგჯერ უარის თქმაც მიწევს. ვამზადებთ 4 სახის სამშენებლო ბლოკებს. საამქროში დასაქმებულია 4 ადამიანი. მათ ხელფასს გამომუშავებით ვუხდი, ერთ ბლოკზე – 18 თეთრს.

სამომავლოდ მინდა შემოვიტანო თანამედროვე დანადგარები. ახლა თუ დღეში ვამზადებ 350-400 ცალ სამშენებლო ბლოკს, იმ დანადგარით დღეში 1500 ცალს დავამზადებთ. შესაბამისად გაიზრდება მოგებაც. ასევე მინდა მუშების დამატებაც და მინდა კაპრეშუმის სოციალურ სახლში მცხოვრები ეკომიგრანტები დავასაქმო.

მიგრანტებო, „ინტელექტმა“ დიდი შესაძლებლობა მოგვცა ჩვენი ეკონომიკური განვითარებისთვის, ნუ დაკარგავთ ამ შანსს!“

„რომ არა ეს პროექტი, ალბათ დღესაც შრომითი მიგრანტი ვიქნებოდი!“

27 წლის რამინ ჯინჭარაძე შრომითი მიგრანტი იყო, სანამ „ინტელექტის“ პროექტში „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ჩაერთვებოდა. პროექტის მეშვეობით მისი ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა. ადრე თუ ფინანსური შემოსავლის მისაღებად რამინი მეზობელ სახელმწიფოში თხილისა და ჩაის საკრეფად გადადიოდა, დღეს უკვე მას პროფესია და საკუთარი საწარმო აქვს.

„თავიდან სწავლით დავინტერესდი. ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ 300-საათიანი გადამზადების კურსები გავიარე შემდუღებლის სპეციალობით. ვფიქრობდი, საზღვარგარეთ შემდუღებლებზე დიდი მოთხოვნაა და უფრო მეტს გამოვიმუშავებ, თუ უცხოეთში ამ პროფესიით დავსაქმდები-მეთქი. შემდეგ, როცა გავიგე პროექტის – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ – ფარგლებში „ინტელექტი“ ბიზნესგრანტებს გასცემდა, გამიჩნდა იდეა, რომ ჩემს ქვეყანაში გამეკეთებინა რკინის კონსტრუქციების საამქრო.

შევიტანე განაცხადი. დამიბარეს ტრენინგებზე, სადაც დეტალურად შევისწავლე, თუ როგორ მექცია ჩემი იდეა ბიზნესგეგმად. კონკურსიც წარმატებით გავიარე, მივიღე დაფინანსება და დღეს ჩემი საკუთარი საწარმო მაქვს.

მიღებული გრანტით შევიძინე სხვადასხვა ტიპის შედუღების აპარატები: შესაღები კომპრესორი (საწოლებს ვღებავთ), პროფილების საჭრელი დანადგარი, კემპი (შედუღების აპარატი), გენერატორი. ფართობი ახლობლისგან ვიქირავე.

ვამზადებ რკინის საწოლს, მაყალს, ჭიშკარს, მოაჯირს... ლითონის ნებისმიერ კონსტრუქციას.

ამ ეტაპზე შემიკვეთეს 10 საწოლი და იმას ვამზადებ. ერთი საწოლის ფასი 150 ლარია. საკონტაქტო რეკვიზიტები გავავრცელე და შეკვეთებს ტელეფონითაც ვიღებ. შეკვეთები გაზაფხულ-ზაფხულში უფრო მეტია, ვიდრე ზამთარში. ვმუშაობ დილის 09:00-დან საღამოს 19:00 საათამდე.

ვგეგმავ ჩემი საამქროს გაფართოებას. მინდა, ჩემი ფართობი ვიყიდო, ქობულეთს გავცდე და ბათუმის ბაზარიც ავითვისო.

დასაწყისისთვის შემოსავალიც შესაბამისია. ძალიან კმაყოფილი ვარ! ეს პროექტი რომ არა, ალბათ დღესაც შრომითი მიგრანტი ვიქნებოდი.

მინდა, მიგრანტებს გითხრათ, რომ მთავარია თქვენი სპეციალობა გიყვარდეთ. მთელი გული ჩადოთ იმ საქმეში, რომელიც ყველაზე მეტად გინდათ, რომ გამოგივიდეთ და